ხელშეკრულება №58

სახელმწიფო შესყიდვისშესახებ

ქ. გორი

17 ვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ბესიკ გიორგაშვილის სახით და მეორეს მხრივშპს "თერმოქართლი"(შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გალუსტიანცის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლისთვის გამოყოფილი სახსრებით კონდიციონერის (CPV 39717200) შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

	დასახელება	CPV-კოდი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულისფასი	მთლიანიღირებულება
1	გარე ბლოკი კედლის კონდიციონერის KELON	39717200	ცალი	2	435	870
2	შიდა ბლოკი კედლის კონდიციონერის KELON	39717200	ცალი	2	200	400
3	ელ.სადენი	31321200	მეტრი	6	3,5	21
4	მილი სპილენძის	44163100	ცალი	2	34,5	69

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 1360 (ათასსამასსამოცი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი. სოფელი ბერბუკი.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით)

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 30(ოცდაათი) კალენდალური დღისა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: - მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოსშესყიდვისობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელსუფლებააქვს:- მოსთხოვოსშემსყიდველსშესყიდვის ობიექტისღირებულებისანაზღაურებახელშეკრულებითგათვალისწინებულიპირობებით.

8.4. მიმწოდებელივალდებულია:- დაიცვასხელშეკრულებითგათვალისწინებულიყველაპირობა

9. მხარეთაპასუხისმგებლობახელშეკრულებისდარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპთვითმართველითემი -გორისმუნიციპალიტეტისკეთილმოწყობისსამსახურისსასაწყობემეურნეობისსპეციალისტი – ილია კლიმიაშვილი

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი	*შემსრულებელი*
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპექსური სპორტული სკოლა ს/კ 417882857 ბანკი: სსსახელმწიფო ხაზინა ხაზინისკოდი:TRESGE22 ა/ახაზინის ერთიანი ანგარიში მისამართი: ქ.გორი, სტალინის #6 დირექტორი: ბესიკ გიორგაშვილი	შ.პ.ს. "თერმოქართლი" ს/კ 417882474 ბანკი: სს "ბანკირესპუბლიკა" ბანკისკოდი: REPLGE22 A/A GE63RB0000010533225405 მისამართი: ქ.გორი, პუშკინისქ. #1ა დირექტორი: გიორგი გალუსტიანი

№58

მიღება - ჩაბარების აქტი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტისკომპექსური სპორტული სკოლა

ქ.გორი **17 აგვისტო 2016 წ.**

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა (ს/კ 417882857) და შ.პ.ს. „თერმო ქართლი"-ს ს/კ 417882474 შორის 2016 წლის 17 აგვისტოს გაფორმებული №58 ხელშეკრულების შესაბამისად.

ჩვენ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორის - ზესიკ გიორგაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თერმოქართლი" წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გალუსტიანცის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი„), ვაფორმებთ ამ მიღება - ჩაბარების აქტს შემდეგზე, რომ მიმღებმა მიიღო, ხოლო ჩამბარებელმა ჩააბარა :

	დასახელება	CPV- კოდი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	გარე ბლოკი კედლის კონდიციონერის KELON	39717200	ცალი	2	435	870
2	შიდა ბლოკი კედლის კონდიციონერის KELON	39717200	ცალი	2	200	400
3	ელ.სადენი	31321200	მეტრი	6	3,5	21
4	მილი სპილენძის	44163100	ცალი	2	34,5	69

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 1360 (ათასსამასსამოცი) ლარი.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები არ გააჩნიათ.

„შემსყიდველი" **„მიმწოდებელი"**

ზესიკ გიორგაშვილი

გიორგი გალუსტიანც